ქ. თბილისი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №10
(AAUT-006484)
(გამარტივებული შესყიდვა)

18 იანვარი 2017 წ.

ერთი მხრივ, **სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“** (შემდგომში „მზღვეველი“) წარმოდგენილი მისი ანდერაიტინგისა და რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი ვეკუას სახით და მეორე მხრივ, **სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო** (შემდგომში „დამზღვევი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. **დამზღვევი** - იურიდიული პირი, რომელმაც გააფორმა სადაზღვევო ხელშეკრულება და რომელიც მითითებულია პოლისში.

1.2. **მზღვეველი** - სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“.

1.3. **მოსარგებლე**:

- ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის დროს იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას და მითითებულია მოსარგებლედ პოლისში;
- ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს ნებისმიერი მესამე პირი, რომელსაც მიადგა ზიანი წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად;
- მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის დროს დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი ან მგზავრ(ებ)ი, რომელთაც მიადგა ზიანი ამ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად.

1.4. **სადაზღვევო მოწმობა (პოლისი)** - დაზღვევის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც დამზღვევს/მოსარგებლეს უფლებას აძლევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება. პოლისი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.5. **ავტომანქანა** - პოლისში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

1.6. **ავტომანქანის მფლობელი** - ნებისმიერი პირი, რომლის საკუთრებაშია ავტომანქანა ან მართლზომიერად განაგებს მას.

1.7. **დაზღვევის პერიოდი** - პოლისში მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ძალაშია დაზღვევა.

1.8. **ფრანშიზა** - მიყენებული ზიანის (ზარალის) ნაწილი, რომელიც პოლისის მიხედვით მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება.

1.9. **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა** - საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა და რომელიც დაფიქსირებულია შსს–ს მიერ;

1.10. **მესამე პირი** – პირი, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების სუბიექტს და რომელსაც მიადგა ზიანი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, გარდა უშუალოდ დაზღვეული ავტომობილის მძღოლის და მგზავრების, დამზღვევის, დამზღვევის ოჯახის წევრების (მეუღლე, შვილი (ნაშვილები, შვილობილი), მშობელი (მშვილებელი), და–ძმა, ბაბუა–ბებია; შვილიშვილი);

1.11. **სადაზღვევო შესატანი (პრემია)** (შემდგომში "სადაზღვევო პრემია") - თანხა, რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს და რომელიც ფიქსირდება სადაზღვევო პოლისში.

1.12. **უფლებამოსილი მძღოლი** - პირ(ებ)ი, რომლის ასაკი აჭარბებს 21 წელს და არ აღემატება 72 წელს, რომელსაც აქვს შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა და გააჩნიათ მინიმუმ 1 (ერთი) წლიანი მართვის გამოცდილება;

1.13. **სადაზღვევო თანხა** _ სადაზღვევო პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

1.14. **სადაზღვევო ანაზღაურება** _ თანხა ან მომსახურება, რომელიც "მზღვეველისაგან" ეკუთვნის "მოსარგებლეს" "სადაზღვევო შემთხვევის" დადგომისას;

1.15. **დაზღვევის პირობები** _ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის შინაარსს და მისი განხორციელების წესებს;

1.16. **ტერიტორიული საზღვრები** – საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა; შესაძლებელია სადაზღვევო მოწმობით (პოლისი) გათვალისწინებული იყოს სხვა ქვეყნებიც;

2. სადაზღვევო დაფარვა

2.1. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე, მზღვეველი უზრუნველყოფს შემდეგი სახის დაზღვევას:

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების (შემდგომში "ავტომანქანა") დაზღვევა ფიზიკური დაზიანებისა და გატაცებისაგან;
2. ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
3. ავტომანქანის მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა;

2.2. დამზღვევი ირჩევს კონკრეტულ სადაზღვევო დაფარვას, რომელიც მითითებული იქნება პოლისში.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულებისა საფუძველზე დამზღვევზე გაიცემა შესაბამისი სადაზღვევო პოლისი. წინამდებარე ხელშეკრულება სადაზღვევო პოლისებთან ერთად შეადგენს ერთ მთლიან შეთანხმებას მხარეთა შორის.

3. სადაზღვევო პირობები

<u>3.1. ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა. (CPV 66510000)</u>
<u>მომსახურება უნდა განხორციელდეს 2017 წლის 20 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.</u>

ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება ან გატაცება (ავტოკასკო).

3.1.1. ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება

3.1.1.1. ამ დაზღვევით იფარება ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება სადაზღვევო პოლისში არჩეული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში:

- ✓ ავტომობილის დაზიანება ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად;
- ✓ ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა;
- ✓ სხვადასხვა საგნების დაცემა;
- ✓ ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
- ✓ მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები;
- ✓ სტიქიური უბედურებები (სეტყვის ჩათვლით);
- ✓ გარე დეტალების და აქსესუარების ქურდობა;
- ✓ მინების და სარკეების დაზიანება;

3.1.2. ავტომანქანის გატაცება

3.2.1.1. ამ დაზღვევით დაიფარება დაზღვეული ავტომანქანის გატაცება პოლისში მითითებულ გეოგრაფიულ არეალში, რომლის მიზეზია ქურდობა, ძარცვა ან ყაჩაღობა.

3.1.3. სადაზღვევო ანაზღაურება:

3.1.3.1. სადაზღვევო ანაზღაურების თანხას მზღვეველი უხდის მოსარგებლეს.

3.1.3.2. სადაზღვევო ანაზღაურება

ა) ნაწილობრივი ზიანისას – ავტომობილის აღდგენის ღირებულებას გამოკლებული პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის ოდენობა. თუ ავტომობილის ასაკი აღემატება 3 წელს და დაზიანებული ნაწილი არ ექვემდებარება აღდგენას, ჩანაცვლება მოხდება მეორადი ნაწილით ან ანაზღაურდება მეორადი ნაწილის ღირებულება.

ბ) სრული ზარალის შემთხვევაში, ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხას გამოკლებული ცვეთა (ამორტიზაციის გრაფიკის გათვალისწინებით), პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის ოდენობა, სადაზღვევო პერიოდში ანაზღაურებული ზარალის თანხა და სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილი.

სრულ ზარალად ითვლება შემთხვევა, როდესაც ავტომანქანის აღდგენის ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეადგენს ავტომანქანის რეალური საბაზრო ღირებულების 70%-ზე მეტს ან ავტომანქანა გატაცებულია და მისი პოვნა ვერ მოხერხდა.

თუ ავტომანქანის სადაზღვევო ღირებულება ცვეთის გათვალისიწინებით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის მეტია ავტომანქანის საბაზრო ღირებულებაზე, მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ჩაანაცვლოს ანალოგიური სატრანსპორტო საშუალებით.

გ) თუ ზარალის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ავტომანქანის რეალურ საბაზრო ღირებულებაზე, სადაზღვევო ანაზღაურების თანხა შემცირდება იმ პროპორციით, რა პროპორციაც არის სადაზღვევო თანხასა და რეალურ საბაზრო ღირებულებას შორის.

3.1.3.3. სრული ზარალის შემთხვევაში დამზღვევთან შეთანხმებით მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ჩაანაცვლოს ანალოგიური სატრანსპორტო საშუალების გადაცემით სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ფარგლებში.

3.1.3.4. სრული ზარალის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის გადახდის შემდგომ, დამზღვევი ვალდებულია საკუთრების უფლებით გადასცეს დაზიანებული ავტომანქანა მზღვეველს ან მის მიერ მითითებულ უფლებამოსილ პირს, ხოლო ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს დამზღვევისაგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ შეცვლილ ავტომანქანის ნაწილებზე.

3.1.3.5. სრული ზარალის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულება და პოლისი უქმდება და გადახდილი სადაზღვევო პრემია დამზღვევს არ უბრუნდება.

3.1.3.6. საბაზრო ღირებულების ამორტიზაციის გრაფიკი:

ცვეთა ახალი (ერთ წლამდე) ავტომანქანებისათვის: 3% პირველი თვე; 2% მეორე თვე; 1% ყოველი მომდევნო თვე; ერთ წელზე მეტი ხნის ავტომანქანებისათვის: 1% ყოველი თვე

3.1.3.7. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ზარალის დარეგულირებიდან და საჭირო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.1.4. დამატებითი პირობები

3.1.4.1. დაზღვეული ავტომანქანის გასხვისებისას დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს აღნიშნულის შესახებ არაუგვიანეს გასხვისებიდან 7 დღისა. ამ შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება ან გადასცეს მისი, როგორც დამზღვევის უფლებები და ვალდებულებები შემძენს, ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო დამზღვევს რჩება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულებისა და/ან სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირობებით.

ანალოგიური პირობა მოქმედებს დაზღვეული ავტომანქანის დროებით სარგებლობაში (იჯარა, ქირავნობა) გადაცემისას.

3.1.4.2. ავტომანქანის გასაღების დაკარგვისას დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს აღნიშნულის შესახებ და ასევე უზრუნველყოს ავტომანქანის უსაფრთხო ადგილას გადაყვანა აღნიშნული პრობლემის მოგვარებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იხსნის პასუხისმგებლობას ავტომობილის გატაცებისას ზიანის ანაზღაურებაზე.

3.1.5. ავტოკასკოსთან (ფიზიკური დაზიანება ან გატაცება) დაკავშირებული გამონაკლისები

ამ დაზღვევით ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზიანი დაკავშირებული შემდეგ გარემოებებთან:

3.1.5.1. თუ დაზღვეული ავტომანქანა გატაცებულია მასში დატოვებული გასაღებით ან/და ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობით;

3.1.5.2. თუ გატაცება ან ფიზიკური დაზიანება, გამოწვეულია მესამე პირის მიერ დაზღვეული ავტომანქანის ხელში ჩაგდებით უფლებამოსილი მძღოლის მოტყუებით/თაღლითობით;

3.1.5.3. ავტომანქანის დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული სამუშაოები;

3.1.5.4. ამორტიზაცია, ცვეთა, მექანიკური და ელექტროსისტემების / ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით, რაც არ არის დაფარული წინამდებარე ხელშეკრულებით.

3.1.5.5. საკეტების გამოცვლა, თუ გასაღებები მოპარულია ან დაკარგული;

3.1.5.6. დაზღვეულ ავტომანქანაში არსებული ნივთების, მათ შორის აუდიო აპარატურის, კასეტების, კომპაქტ დისკების, ტელეფონების, ტელე და რადიო აპარატურის, ფულის, დოკუმენტების და ა.შ. დაკარგვა/დაზიანება;

3.1.5.7. კონფისკაცია, დაპატიმრება, დაკავება ან სახელმწიფო ორგანოების დავალების შედეგად გამოწვეული ზარალი.

3.1.5.8. უხარისხო გზით გამოწვეული დაზიანება.

<u>3.2. ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL)</u>

3.2.1. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს ავტომანქანის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობა აანაზღაუროს დაზღვეული ავტომანქანის საავტომობილო გზაზე მოძრაობისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონებისათვის მიყენებული ზიანი პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში.

დამზღვევის პასუხისმგებლობა მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის დგება მხოლოდ მომხდარ მოვლენასა (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა) და მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობისას.

3.2.2. ამ დაზღვევით იფარება დამზღვევის პასუხისმგებლობა აანაზღაუროს მისი კუთვნილი ან მის კანონიერ სარგებლობაში მყოფი დაზღვეული ავტომანქანით მიყენებული ზიანი იმ ოდენობით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე ხელშეკრულებით და პოლისით, თუ ამ დროს ადგილი აქვს:

ა) მესამე პირის გარდაცვალებას ან სხეულის დაზიანებას;

ბ) მესამე პირის ქონების დაზიანებას.

3.2.3. ამ დაზღვევით დაიფარება ასევე სასამართლო ხარჯი, რომელიც გაწეული იქნება, მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, დაზარალებულის მოთხოვნისაგან დაცვისათვის, თუ ეს ხარჯები სადაზღვევო ანაზღაურების თანხასთან ერთად არ აღემატება სრულ სადაზღვევო თანხას.

სადაზღვევო თანხის ფარგლებში მზღვეველი გადაიხდის დაზარალებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯს შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის ფინანსური ხასიათის) დედნების წარდგენის საფუძველზე.

3.2.4. თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდა რამოდენიმე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობამ გადააჭარბა პოლისში მითითებულ ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში).

3.2.5. მზღვეველი უფლებამოსილია, ანაზღაურების გაცემისთვის მოითხოვოს დამზღვევისგან მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება.

3.2.6. ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის (MTPL) დაზღვევასთან დაკავშირებული გამონაკლისები

ამ დაზღვევით ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

3.2.6.1. დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის და ამ ავტომანქანაში მყოფი მგზავრების სიკვდილი ან სხეულის დაზიანება;

3.2.6.2. დაზღვეული ავტომანქანის დაზიანება;

3.2.6.3. ზარალი მიყენებულია დამზღვევის ქონებისთვის;

3.2.6.4. მესამე პირის ქონებისათვის მიყენებული ზიანი, გამოწვეული დამზღვევის განზრახ ქმედებით;

3.2.6.5. მესამე პირის ქონებისათვის მიყენებული ზიანი, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული ავტომობილით.

<u>3.3. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (MA)</u>

3.3.1. მძღოლისა და მგზავრების საგზაო – სატრანსპორტო შემთხვევისაგან დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დაზღვეულ ავტომანქანაში მყოფი მძღოლის ან/და მგზავრების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

3.3.2. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვეულ ავტომანქანაში მყოფი მძღოლის და/ან მგზავრის/მგზავრების გარდაცვალება და/ან

ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა, რომელიც გამოვლინდება სადაზღვევო შემთხვევიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

3.3.3. დაზღვევის ხელშეკრულება ფორმდება ავტომანქანაში ადგილების რაოდენობის მიხედვით; გამონაკლის შემთხვევაში, სადაზღვევო პოლისში სპეციალური მითითების საფუძველზე დაზღვევა შესაძლებელია გაფორმდეს ერთიანი სისტემით.

3.3.4. ავტომანქანაში ადგილების რაოდენობის მიხედვით დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ლიმიტი დგინდება თითოეული ადგილისათვის. ამასთან, დაზღვეული ადგილების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობაში და/ან ავტომანქანის სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული ადგილების მაქსიმალურ რიცხვს.

3.3.5. ყოველი მგზავრი, მძღოლის ჩათვლით, რომელიც იმყოფება ავტომანქანაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ითვლება დაზღვეულად საერთო სადაზღვევო ლიმიტიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ადგილების რაოდენობის პროპორციის შესაბამისად.

3.3.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი იხდის ანაზღაურებას ქვემოთ მითითებული ცხრილის მიხედვით.

სადაზღვევო რისკი	სადაზღვევო ანაზღაურება (გამოითვლება ყოველ/თითოეულ დაზღვეულზე გათვალისწინებულ სადაზღვევო ლიმიტიდან, %)
გარდაცვალება	100 %
ქმედობაუნარიანობის ხარისხის შეზღუდვა	
მკვეთრად გამოხატული ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა	100%
მნიშვნელოვნად გამოხატული ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა	75%
ზომიერად გამოხატული ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა	50%
გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	20%

3.3.7. წინამდებარე ხელშეკრულების 3.3. პუნქტით განსაზღვრული დაზღვევა არ ითვალისწინებს დაზარალებულის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას, გარდა პირველადი გადაუდებელი სამედიცინო ღონისძიებებისა.

3.4. მხარეთა ურთიერთობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

3.4.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:

3.4.1.1. დამზღვევი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „მზღვეველს" საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე (2640 640) და მიაწოდოს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

ბ) დაუყოვნებლივ გამოიძახოს საპატრულო პოლიცია;

გ) არ დაძრას ავტომანქანა შემთხვევის ადგილიდან საპატრულო პოლიციის მისვლამდე, რათა შენარჩუნებული იყოს შემთხვევის პირვანდელი სახე;

დ) ავტომანქანის მძღოლმა ჩაიტაროს ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმება ან/და ალკოტესტით შემოწმება.

ე) არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით. (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო).

ზემოაღნიშნულის შეუსრულებლობა გამოიწვევს მზღვეველის მხრიდან სარჩელის განხილვაზე უარის თქმას.

3.4.1.2. დამზღვევი ასევე ვალდებულია უმოკლეს ვადაში:

ა) წარუდგინოს მზღვეველს დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან/და ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) წარუდგინოს მზღვეველს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, პოლისი, სადაზღვევო შემთხვევის დროს საჭესთან მჯდომი პირის მართვის მოწმობა;

გ) წარუდგინოს მზღვეველს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ყველა ოქმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) დამზღვევს უფლება აქვს მოითხოვოს დაზიანებული ავტომობილის შეკეთება შესაბამისი ავტომანქანის მწარმოებელი კომპანიის მომსახურების სერვის–ცენტრში, თუ ავტომანქანაზე მოქმედებს საგარანტიო პერიოდი.

ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში 3.4.1.2. პუნქტის ა) - დ) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად დამატებით წარმოადგინოს:

ე) ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობა;

ვ) ავტომანქანის არსებული ქარხნული გასაღებების კომპლექტი, სიგნალიზაციის მართვის პულტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების ასლი; ცნობა აღნიშნულ საქმეზე არსებული მდგომარეობის შესახებ (სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან 2 თვის შემდეგ); დაკარგულ ავტომანქანაზე გაცემული ნებისმიერი მინდობილობის დედანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მესამე პირებისათვის ზიანის მიყენებისას 3.4.1.2. პუნქტის ა) – დ) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად დამატებით წარმოადგინოს:

თ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) საგზაო-სატრანსპორტო შემთვევასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კ) მესამე პირის ქონების და/ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

მძღოლისა და მგზავრების დაზიანების შემთხვევაში 3.4.1.2. პუნქტის ა) – დ) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად დამატებით წარმოადგინოს:

ლ) მძღოლის და მგზავრების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი საბუთების ასლები;

მ) გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან;

ნ) ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევაში - შესაბამისი დაწესებულებიდან (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა) ოფიციალური დასკვნა, ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის მინიჭების თაობაზე;

ო) გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვალების მოწმობა, "დაზღვეულის" სიკვდილის შესახებ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა;

3.4.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების 3.4.1.2. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების დამზღვევის მიერ წარმოუდგენლობა შეიძლება გახდეს მზღვეველის მხრიდან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძელი.

3.4.1.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

ა) თავად დაათვალიეროს დაზიანებული ავტომანქანა.

ბ) დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერების, მიყენებული ზიანის ოდენობის, დაზიანებული ავტომანქანის შეკეთების და აღდგენითი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი ან/და დანიშნოს ექსპერტიზა.

გ) დამზღვევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანზღაურების გაცემა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

დ) აუცილებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისაგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

3.5. საერთო გამონაკლისები

ამ პუნქტში გათვალისიწინებული გამონაკლისები (გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ იქნება გადახდილი) ეხება დაზღვევის მთელს ხელშეკრულებას (ხელშეკრულებას და პოლისს).

3.5.1. წინამდებარე პირობებით არცერთ შემთხვევაში არ ანაზღაურდება დანაკარგი, დაზიანება ან პასუხისმგებლობა, თუ:

3.5.1.1 დამზღვევი არღვევს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს;

3.5.1.2. დაზღვეულ ავტომანქანას მართავდა პირი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;

3.5.1.3. მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად შესაბამისი სინჯების ჩაბარებაზე ან/და მზღვეველთან არ იქნა წარდგენილი ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.5.1.4. ავტომანქანას მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი (მათ შორის მართვის უფლების დროებითი შეზღუდვის/ჩამორთმევის პერიოდში);

3.5.1.5. დამზღვევის ავტომანქანა არ გამოიყენება იმ დანიშნულებით, რომელიც მითითებულია განცხად-კითხვარში;
3.5.1.6. ადგილი აქვს ძრავის წყლით შინაგან დაზიანებას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ზარალი დადგა სადაზღვევო პოლისში გათვალისწინებული რისკების შედეგად.
3.5.1.7 ადგილი აქვს ხარჯებს, გამოწვეულს ცვეთით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტებით, შეუსაბამო დიზაინით, დეფექტური მასალების გამოყენებით და სხვა ბუნებრივ თვისებებით.
3.5.1.8 დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებს;
3.5.1.9 მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნს ან ამით გამოწვეულ ავტოტრანსპორტის დაზიანებას;
3.5.1.10 ადგილი აქვს უშუალოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბურავებზე მიყენებულ დაზიანებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, შედეგად მოყვა დაზღვეულ რისკებს და ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავებისა, ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებიც დაზიანებულია, ხოლო დამზღვევი (მოსარგებლე) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივი ან სრული განადგურების რისკზე;
3.5.1.11 ადგილი აქვს უბედურ შემთხვევას, დანაკარგს ან დაზიანებას, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისათვის გამოუდეგარ მდგომარეობაში;
3.5.1.12 ადგილი აქვს შემთხვევას, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების ავტომობილში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურებისთვის გადაცემას; შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;
3.5.1.13 გაჩერებული დაზღვეული ავტოტრანსპორტი დაზიანებულია/განადგურებულია დაუდგენელი პირის/ების მიერ ან დაუდგენელ ვითრებაში, არ მოხდა მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყონებლივი დაკავშირება და ადგილი აქვს მზღვეველის წარმომადგენლის ადგილზე მისვლამდე ავტოტრანსპორტის ადგილიდან დაძვრას;
3.5.1.14 შემთხვევა დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმოზე გადაყვანის/გადაადგილების დროს, ასევე საჯარიმო სადგომზე გადაყვანისას;
3.5.1.15 ზიანი მიადგა ქონებას, რომელიც წარმოადგენს დაზღვეული პირის საკუთრებას, მინდობილობით ინახება მასთან, ან რომლის გადაზიდვა ხორციელდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან/და ზარალი გამოწვეულია დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;
3.5.1.16 ავტოსატრანსპორტო საშუალება გაქირავებულია და/ან გამოიყენება შემოსავლის მიღებისათვის მგზავრთა/ტვირთის გადაყვანის მიზნით და ამგვარი გამოყენება არ არის მითითებული პოლისში. ხდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირება ტვირთის სახით საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით (ევაკუატორი) გადაზიდვა ან ბუქსირით გადაადგილება;
3.5.1.17 გარემოებები რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყონებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიაწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტი) აღნიშნულის შესახებ;
3.5.1.18. დაზღვეული ავტომანქანა გამოიყენება სისწრაფეში შეჯიბრში და სამაშველო სამსახურში;
3.5.1.19. დაზღვეული ავტომანქანა გამოიყენება პოლისში მითითებული მოქმედების არეალის გარეთ;
3.5.1.20 დაზღვეულ ავტომანქანაში მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს;
3.5.1.21 დაზღვეული ავტომანქანა გადატვირთულია;
3.5.1.22 ავტომანქანა იძებნება ან მახასიათებლები არ ემთხვევა მის VIN კოდს.
3.5.1.23 დაზღვეული ავტომანქანის გამოყენება ხდება აეროპორტის ან საფრენი მოედნის აკრძალულ უბნებში;
3.5.1.24 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
3.5.2. წინამდებარე პირობებით არცერთ შემთხვევაში არ ანაზღაურდება დანაკარგი, დაზიანება ან ზარალი რომელიც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:
3.5.2.1. ომი, დაპყრობა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, ტერორიზმი, და საზოგადოებრივი არეულობები;
3.5.2.2 დამზღვევი (დაზღვეული) მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
3.5.2.3 დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;
3.5.2.4 დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი აქვს ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისთვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით;
3.5.2.5. გარემოს დაბინძურება;
3.5.2.6. მაიონიზებელი რადიაცია ან დაბინძურება დასხივებული საწვავით ან ბირთვული ნარჩენებით, ბირთვული საწვავის აალება;
3.5.2.7 ავტომანქანის არალეგალური ან მართვისთვის უვარგისი, მათ შორის ტექნიკურად გაუმართავი ან ექსპლუატაციის პირობებისათვის შეუსაბამო ტექნიკური მდგომარეობა;
3.5.2.8 რადიოაქტიური, ტოქსიკური, ადვილად აალებადი და ბირთვული დანადგარების სხვა სარისკო კომპონენტები;
3.5.3. წინამდებარე დაზღვევით არ იფარება:
3.5.3.1. დამზღვევის ან მძღოლის განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისაკენ: თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით;
3.5.3.2. შემთხვევა დაკავშირებული დამზღვევის ან მძღოლის ფსიქიკურ ან მძიმე ნერვულ აშლილობასთან, თუ შესაბამისი დიაგნოზი დადგენილია სამედიცინო დაწესებულების მიერ უფლებამოსილი მძღოლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე.

4. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის "დამზღვევი" "მზღვეველს" უხდის შესაბამის "სადაზღვევო პრემიას", რომლის ოდენობა და გადახდის ვადები განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით.
4.2. სადაზღვევო პრემიის დადგენა ხდება ყოველი კონკრეტული რისკისა და მოთხოვნილი პასუხისმგებლობის ლიმიტის საფუძველზე. სადაზღვევო რისკის შეფასება ხდება დამზღვევის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
4.3. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1780 (ათას შვიდას ოთხმოცი ლარი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით. გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეროვნულ ვალუტაში. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის საკუთარი შემოსავალი.
4.4. სადაზღვევო პრემია შეიძლება გაიზარდოს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, თუ შეიცვალა ავტომანქანის გამოყენების მიზანი).
4.5. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი ,,სადაზღვევო პრემიის" გადახდის ვადას გადააცილებს 14 (თოთხმეტი) დღით, მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე და არ აანაზღაუროს ამ პერიოდის გასვლის შემდგომ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას.
4.6. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "მზღვეველი" უფლებამოსილია:
5.1.1. წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი სრულად;
5.1.2. ამოიღოს ზარალი მესამე მხარისგან (სუბროგაციის უფლება);

5.1.3. მოსთხოვოს "დამზღვევს" გადაიხადოს "სადაზღვევო პრემია" სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ვადებში;
5.1.4. არ აანაზღაუროს ის სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;
5.1.5. უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე „დამზღვევის" ან/და „მოსარგებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;
5.1.6. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება „დამზღვევის"/"მოსარგებლის" მიერ ან „დამზღვევის"/"მოსარგებლის" მონაწილეობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, არასწორი/ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში;
5.1.7 დამზღვევთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო–საპტრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ; ასევე, გამოითხოვოს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად საჭირო სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია.
5.1.8. მზღვეველის სხვა უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

5.2. "მზღვეველი" ვალდებულია:

5.2.1. განახორციელოს დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობების შესაბამისად;
5.2.2. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

5.3. "დამზღვევი" ვალდებულია:

5.3.1. დაუყოვნებლივ შეატყობინოს საპატრულო პოლიციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
5.3.2. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „მზღვეველს" საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე (2640 640) და მიაწოდოს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
5.3.3. არ აიღოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა „მზღვეველთან" წერილობითი შეთანხმების გარეშე;
5.3.4. „მზღვეველის" მიერ დაზიანებული დეტალების შეცვლის (ფრანშიზის გათვალისწინებით) ანაზღაურების შემთხვევაში, გადასცეს „მზღვეველს" საკუთრების უფლება დაზიანებულ დეტალებზე;
5.3.5. დაზიანებული ავტომობილის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ ზარალის სრულად ანაზღაურებისას (ფრანშიზის გამოკლებით), გადასცეს „მზღვეველს" საკუთრების უფლება დაზიანებულ ავტომანქანაზე;
5.3.6. არ დაიწყოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის შეკეთება „მზღვეველთან" შეთანხმების გარეშე;
5.3.7. მიაწოდოს „მზღვეველს" აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები სახელმწიფო ორგანოებიდან ან ნებისმიერი სხვა უწყებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში „მზღვეველი" უფლებამოსილია უარი განაცხადოს ვალდებულებების შესრულებაზე აღნიშნული საპასუხო მოქმედებების შესრულებამდე;
5.3.8. გააცნოს უფლებამოსილ მძღოლებს წინამდებარე დაზღვევის პირობები;
5.3.9. გადაიხადოს "სადაზღვევო პრემია" წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;
5.3.10. ხელი შეუწყოს "მზღვეველს" "სადაზღვევო შემთხვევის" დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში და „მზღვეველის" მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტაცია;
5.3.11. დაზღვეული ავტომანქანის გასხვისებისას დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს აღნიშნულის შესახებ. ამ შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება ან გადასცეს მისი, როგორც დამზღვევის უფლებები და ვალდებულებები შემძენს, ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო დამზღვევს რჩება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულებისა და/ან სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირობებით. „მზღვეველის" მიერ შესაძლებელია განხორციელდეს პრემიის გადაანგარიშება ან/და სადაზღვევო პირობების შეცვლა. ანალოგიური პირობა მოქმედებს დაზღვეული ავტომანქანის დროებით სარგებლობაში (იჯარა, ქირავნობა) გადაცემისას.
5.3.12. დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს „მზღვეველს" ავტომობილის გამოყენების და დაზღვევის განაცხადში მითითებული სხვა პარამეტრების შეცვლის შესახებ, ასეთ შემთხვევაში „მზღვეველის" მიერ შესაძლებელია განხორციელდეს პრემიის გადაანგარიშება ან/და სადაზღვევო პირობების შეცვლა.

5.4. „დამზღვევი" უფლებამოსილია:

5.4.1. აღადგინოს შემცირებული სადაზღვევო თანხა, მზღვეველისადმი წერილობითი მიმართვის და დამატებითი სადაზღვევო პრემიის შეტანის საფუძველზე;
5.4.2. მოსთხოვოს „მზღვეველს", განახორციელოს სადაზღვევო მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;
5.4.3. მოსთხოვოს "მზღვეველს" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

6. ორმაგი დაზღვევა

6.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, „მზღვეველი" გადაიხდის ზარალს პროპორციულად, „მზღვეველის" სადაზღვევო თანხის ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

7. სუბროგაციის უფლება

7.1. "სადაზღვევო ანაზღაურების" გაცემის შემდეგ "მზღვეველზე" ავტომატურად გადადის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც "დამზღვევს"/"მოსარგებლეს" გააჩნია მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.
7.2. "დამზღვევი"/"მოსარგებლე" ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს "მზღვეველს" ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს "მზღვეველის"მიერ სუბროგაციისუფლების რეალიზება.
7.3. "დამზღვევის"/"მოსარგებლის" მიერ ამ მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში "მზღვეველს" უფლება აქვს უარი თქვას "სადაზღვევო ანაზღაურების" გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

8. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის მოქმედების ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისით.
8.2. <u>წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 20 იანვარს და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით</u>; წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ იმ სადაზღვევო პოლისზე, რომლის მოქმედების ვადა აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, სრულად ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.
8.3. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:
8.3.1. "მხარეთა" შორის წერილობითი შეთანხმება;
8.3.2. „დამზღვევის" მიერ „მზღვეველისათვის" 14 (თოთხმეტი) დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინება; ასეთ შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევს აუნაზღაურდა ზარალი, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება;
8.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
8.3.4. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიერ არ არის გადახდილი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია (არც სრულად და არც ნაწილობრივ) და მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, გადაიხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის არსებული გამომუშავებული პრემია და ხელშეკრულების შეწყვეტის ჯარიმა 375.00 ლარი მზღვეველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
8.3.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის დროს დამზღვევს არ აქვს სრულად გადახდილი წინამდებარე ხელშეკრულებით

გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია, ხოლო სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ ანაზღაურებულია ზარალი, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია სრულად, მზღვეველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

9. ფორს-მაჟორი

9.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის შეთანხმებული, "მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორული გარემოებების (ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების აქტები და ქმედებები, ასევე სხვა მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელია გახადა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების) შემთხვევაში.

9.2. "მხარე", რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ორ სამუშაო დღეში აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება და წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება "მხარ(ეებ)ის" ინტერესის დაკარგვას იწვევს, მაშინ "მხარეები" უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

10. დავის გადაჭრა. ზიანის ანაზღაურება

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მხარეთა" შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მეშვეობით.

10.2. თითოეული "მხარე" ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს" მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. კონფიდენციალობა

11.1. „მხარეები" ვალდებულნი არიან, მეორე „მხარესთან" წერილობით შეთანხმების გარეშე არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე „მხარის" შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია განხორციელდეს „მხარეთა" მიერ გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.2. "მხარეთა" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინების მიწოდება ხდება წერილობით. „მხარე" პასუხისმგებელია მეორე „მხარისათვის" მიწოდებული ინფორმაციის (დოკუმენტაციის) სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე. თუ „მხარის" მიერ მეორე „მხარისთვის" მიწოდებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია) ამგვარი არ აღმოჩნდა, ეს „მხარის" მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება და მეორე „მხარეს" უფლება წარმოეშვება, არ შეასრულოს თავისი შესაგებელი ვალდებულება.

12.3. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

12.4. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება გაბათილდება, ეს მთელი ხელშეკრულების გაბათილებას არ გამოიწვევს.

12.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. თითო „მხარეს" გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მზღვეველი":

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ.N16
ს/კ 204568896
სს „თიბისი ბანკი"
ბ/კ: TBCBGE22
ა/ა: GE53TB1102636080100003

ანდერაიტინგისა და რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

ირაკლი ვეკუა

„დამზღვევი":

სსიპ საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
ს.კ 200162224
მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №67

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 707177053

გენერალური დირექტორი:

დავით ტყემალაძე